



[RSS](#)

ძიება

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [გართობა](#)
- [აჭარა](#)
- [სიახლეები](#)
- [კვირის ამბები](#)
- [მუნიციპალიტეტი](#)
- [სპორტი](#)
- [განცხადებები](#)

[Home](#) / [კვირის ამბები](#) / სოფელი ღურტა, ჰიდროპროექტები და სტუდენტები
2014.04.08

სოფელი ღურტა, ჰიდროპროექტები და სტუდენტები

დისკუსია

ხულოში, ღურტაში, მიმდინარე ჰესის მშენებლობა და მოსახლეობის პროტესტი იყო სტუდენტების განხილვის თემა გასულ კვირას „პრესკაფეში“.

ზურა მელიქაძე, სტუდენტი: ჩვენი თემაა ხულოში, კერძოდ კი სოფელ ღურტაში ჰესების მშენებლობის საკითხი და მის მიერ გამოწვეული უთანხმოება სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის. საუბარია იმ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტზე, რაც სამართალდამცავებმა განახორციელეს ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ გამოსული ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ასევე ის სავალალო შედეგები, რომლებიც შესაძლოა

მოჰყვეს აღნიშნულ მშენებლობას. ჩვენ, სტუდენტური მოძრაობა „ალტერნატივა“, ინციდენტიდან მეორე დღესვე, ჩვენივე ფინანსებით ავედით სოფელ ღურტაში, რათა ადგილზე გავცნობოდით არსებულ სიტუაციას. გავესაუბრეთ მოსახლეობას და გამოვკითხეთ პრობლემების შესახებ. ეს ყველაფერი ჩაწერილია ვიდეოფორზე, სადაც ღურტელები მკაფიოდ აფიქსირებენ თავიანთ უკმაყოფილებას მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით და მოითხოვენ უსაფრთხოების გარანტიებს ადგილზე ან განსახლებას აჭარის რეგიონის სხვა რომელიმე სოფელში, უსაფრთხო პირობებში. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამ საკითხზე ინტენსიური მუშაობა და კვლევის განხორციელება, რათა არ მოხდეს მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესთა დაჩრდილვა და ეს მშენებლობა არ დასრულდეს სავალალო შედეგებით.

მარი ზედგინიძე, სტუდენტი: არ ვიცი, რამდენად კარგად გადმოვცემ ჩემს სათქმელს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩემი წვლილი შევიტანე იმ პრობლემის გადმოცემაში, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს ხულოში, სოფელ ღურტაში მცხოვრებ მოსახლეობას. ის, რაც მოხდა 8 მარტს ღურტაში, ამაზრზენია (ძალადობა ქალებზე) თუმცა, იმდენი პრობლემისა და უსამართლობის მომსწრენი გავხდით მე და ჩემი მეგობრები, რომ ამ ინციდენტმა ჩვენში ისეთი გრძნობები ვერ გამოიწვია, როგორც ღურტელი ფრიდონ ღორჯომელაძის სიტყვებმა - „ძაღლებივით გვექცეოდნენ“. არ შემიძლია გვერდი ავუარო მუშის გულისტკივილს, რომელიც ღიად მიუთითებდა ცრუ დაპირებაზე, რომ ის დასაქმდებოდა და კარგი ანაზღაურება ექნებოდა, ამის ნაცვლად კი 2 თვე დილის 6-დან საღამოს 7 საათამდე მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა ათ თანასოფლელთან ერთად. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ამ ჰესის მომგებიანობის საკითხი ჩვენი სახელმწიფოსთვის. იქნებ კარგიცაა ამ ჰესის მშენებლობა, ეს მაგალითი იქნება მწარე მაგალითი, რომელიც საბოლოოდ მაინც შეუქმნის წარმოდგენას იმ საზოგადოებას, რომელიც არაფრად აგდებს ბუნებას, ხალხს და ადამიანის უფლებებს.

გოჩა სურგულაძე, სტუდენტი: „ღურტელები სახელმწიფოს წინააღმდეგ“ მსგავსი ინტერპრეტაციით გააკეთეს განცხადებები სახელმწიფო ჩინოვნიკებმა, ბეჭდური თუ ელექტრონული მედიის საშუალებით, ხულოში, სოფელ ღურტაში, ჰესის აშენების მოწინააღმდეგეებზე, რამაც საზოგადოების, მათ შორის სტუდენტების დაბნეულობა და ორ ბანაკად - ჰესის აშენების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად - გაყოფა გამოიწვია. სტუდენტები ორჯერ ვიყავით ხულოს მუნიციპალიტეტში, პირველად სოფელ ღურტაში, სადაც სოფლის მცხოვრებლებს შევხვდით, მეორედ კი ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სადაც სამ მხარეს, ექვსი სოფლის წარმომადგენლები, მთავრობა, ინვესტორი, მოლაპარაკებას ვესწრებოდით. რას ითხოვდნენ ღურტელები?! ერთი სიტყვით ვიტყვი,

ისინი ითხოვდნენ უსაფრთხოების გარანტიებს, დაწყებული სიცოცხლის და დამთავრებული მატერიალურით.

მარტივი, მაგრამ პრაგმატული მოთხოვნები მოვისმინე სოფლის მცხოვრებლების მხრიდან, რადგან ისინი მეწყერსაშიშ ზონაში იმყოფებიან (რაც თავისთავში განსახლების პოლიტიკის გატარებას გულისხმობს ჰესის არაშენების შემთხვევაში), ასევე, სავალალოა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მოშლილია ინფრასტრუქტურა და ისინი მხოლოდ ბედის ანაზარა არიან, ამას დაემატა მეწყერის განვითარების რისკის ზრდა, ისინი შიშობენ, რომ მეწყერი შეიძლება გამოიწვიოს შუა სოფელში გვირაბის გაყვანის დროს განხორციელებულმა აფეთქებებმა.

მინდა აღვნიშნო იმ საშიშროებების შესახებ, რომელიც შესაძლოა გრძელვადიან პერსპექტივაში დადგეს დღის წესრიგში. პირველ რიგში, ეკოლოგიური საფრთხე, რომელიც შეიძლება დაემუქროს მთლიანად რეგიონს, რომლის შესახებ არაერთი განცხადება აქვს გაკეთებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“, ასევე ეჭვქვეშ ვაყენებ საჯარო ინფორმაციის არ არსებობის გამო აღნიშნული პროექტის ეკონომიკურ მომგებიანობას. სახელმწიფოს არ აქვს წილი საკუთრებაში, გამომუშავებული ელექტროენერჯის 80% უცხოეთში გაიყიდება, სანაცვლოდ კი კომპანია რამდენიმე სოფელში ინფრასტრუქტურულ პროექტს განახორციელებს, გადაიხდის ქონებისა და მოგების გადასახადს. საზოგადოებას არ ჰქონდა ინფორმაცია სად აშენდებოდა ჰესი, მიწის რა ნაწილს დაფარავდა და ა.შ. უამრავი ინფორმაცია, რაც უნდა ყოფილიყო საჯარო, დაფარული იყო.

ასლან ჭანიძე, „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“: მე ხშირად მესმის, რომ ჰესების მშენებლობა უფრო დიდ ზიანს მოიტანს, ვიდრე სარგებელს. არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამბობს, რომ საზიანოა, მეორე მხრივ კი არის ინვესტორი, რომელიც ამბობს, რომ არ არის საზიანო. ამ შემთხვევაში ვის უნდა დაუჯეროს საზოგადოებამ? ჩემთვის გაუგებარია, იგივე ხელვაჩაურში რომ შენდება ჰესები, მეც მეხება როგორც მოქალაქეს, მაგრამ მე ვერ ვამბობ, რომ ეს ზიანს მოიტანს. მე არ მომისმენია მყარი არგუმენტები არც ერთი მხრიდან.

გია აბულაძე, დისკუსიის მონაწილე: ჩემთვის გაუგებარია იქ მყოფი ადამიანები რას

ითხოვენ, თანხას ითხოვენ?

გოჩა სურგულაძე: სახელმწიფოს არანაირი წილი არ აქვს ჰესში. ის შემოსავალი რაც ინვესტორს მიაქვს, უზარმაზარია.

დიანა ბაუჟაძე: მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს მოსახლეობა კი არ აპროტესტებდა ამ შედეგებს, უბრალოდ ისინი მოითხოვდნენ შედეგების კომპენსირებას.

Like 26

+1 0

Tweet 0

ამავე თემაზე:

- [ბათუმში ახალგაზრდული თეატრალური კვირეული ტარდება](#) 2014.05.01
- [დღეს ქობულეთის მუზეუმში უცნობი ხელნაწერები გამოიფინება](#) 2014.04.29
- [რეჟიმი ადამიანების წინააღმდეგ](#) 2014.04.28
- [საზაფხულო სკოლები მოსწავლეებისთვის](#) 2014.04.28
- [50 მილიონი ლარი სოფლებისთვის და კორუფციის რისკი](#) 2014.04.27
- [ბათუმში ექსპერიმენტული მუსიკის ფესტივალი გრძელდება](#) 2014.04.27
- [ოჯახი, კონსტიტუცია და სტერეოტიპები](#) 2014.04.24

კომენტარი

AROUND THE WEB

WHAT'S THIS?

SmartAsset

The 50 Worst Charities in America: How to Keep From Being Scammed

YJNews

Man marries his daughter, 14, and has two children with her after wife died

Porch.com

Decks You Won't Believe Are Real